გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებით დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, აგზალის ქუჩაზედ, ვარანცოვ ძეგლის პირდაპირ, [illegible] წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას [illegible] კის სახლებში, [illegible].

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთ-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.


## ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა **რუსულს ენაზედ**, ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში და ტფილისის სხვა მაღაზიებშიაც.

ფასი ორი მანეთი.

(6—1)

გამოვიდა და ისყიდება ყოველგან, ტფილისს, ქუთაისსა, ბათუმში და სხ.

ახალი წიგნი

სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ სუფევს

(ლ. ტოლსტოიდგან გადმოკეთებული)

მაღაქია ბოლქვაძისა

**ფასი ერთი შაური**

ვისაც ოც ცალზედ მეტის ყიდვა ჰსურთ, მიჰმართონ ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიას ქუთაისში.

(3—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა ტომი I (ნაწილი 1 და 2-ე)

„შრომა კავკასიის მკურნალთა პირველის კრებისა“

(ხოლერა კავკასიაში 1892 წ.)

მიიღება ხელის მოწერა მთელს გამოცემაზედ. სულ 3 ტომი იქნება, თითო ეგზემპლიარი ეღირება 3 მან. ხელის მოწერა შეიძლება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მდივანთან (ტფილისი, ნაბერეჟნის ქუჩა № 6) და უმთავრეს წიგნის მაღაზიაში (გოლოვინის პროსპექტი, იმ სახლის ქვემო სართულში სადაც ოლქის სასამართლოა).

(3—2)


## ტფილისი, 13 ოქტომბერს

—

ყოველის მხრით მშვიდობის ამბავი მოდის; ყოველის მხრით ძმობასა და სიყვარულზეა გამართული ლაპარაკი, თითქოს ერთი მცირეოდენი იჭვის ღრუბელიც არა სჩანდეს ევროპის საპოლიტიკო ცაზე!

მაგრამ დაცდილია, რომ საშინელ გრიგალსა და ზეცის სასტიკ რისხვას ხშირად წინამორბედობს სრული მყუდროება და მშვიდობა. გამოუცდელი თვალი ვერაოდეს ვერ შეამჩნევს, რომ ბუნება რაღაცა უცნაურსა და გასაშტერებელ ამბის მოვლინებას აპირობს ქვეყნად.

გულ-დაწყნარებულნი ევროპის ერნი სიამოვნებითა და ნუგეშით შესცქერიან თავის მეფეებს და ქვეყნის მართველთ, რომელნიც უქადიან მშვიდობიანსა და ბეჯითს პროგრესს; საქმის კაცნი და მუშაკნი არა ნაკლების გულმოდგინებით ჰკიდებენ ხელს თავის მანქანებს და სამუშაო იარაღს; დედანი ღიმილით და ტკბილის ნანათი არწევენ აკვანს თავიანთ პატარებისას და ოცნებობენ მათთვის ნეტარსა და მხიარულს ცხოვრებას. არსად არასფერი არ აფრთხობს ადამიანის გონებას, ყოველგან თითქოს ზეცის მადლი იყოს მოფენილი და კაცობრიობას განსხვავებული არა მოელოდესრა!

მაგრამ საკმაოა ერთი პატარა მიზეზი, საკმაოა ერთი უმნიშვნელო საგანი, საკმაოა გაღვიძებული მადა რომლისამე ერისა და მთელი ეს სურვილი მშვიდობიანის შრომისა ერთ წამს იცვლება და მთელს ქვეყანას გარემოიცავს თოფ-ზარბაზნის ჭექა-ქუხილი, ხმლის ტრიალი, ცეცხლი და სიკვდილი!

გუშინ კმაყოფილი, მხიარული და იმედით აღსავსე ერი, ბედის სიმუხთლის წყალობით ერთიანად იცვლება და, ნაცვლად იმედისა—რომელიც ასულდგმულებს, ყოველს ერს ყოველს კაცს—მას მოეფინება წყვდიადი და მწუხარება.

ხშირად ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ერი ვეღარ ჰხედავს დასასრულს თავის ტანჯვისას, ესპობა უკანასკნელი სასოება მომავალზე, ოცნებითაც ვეღარ წარმოიდგენს სინათლეს და თავისუფლებას თავის ქვეყნისათვის... ძნელია ასეთი ხვედრი თითოეულის ადამიანისათვის; მაგრამ მიუწდომელად უფრო ძნელია ასეთი განსაცდელი ერისათვის.

მაგრამ ქვეყანაზე უცვალებელი და საუკუნო არა არის-რა! გუშინდელი დაჩაგრული, დამონებული პატივ-ახდილი ერი იმავე შემთხვევისა და ბედის წყალობით სრულიად გარდაიქმნება და დღეს დამცირებული, დაცემული ხვალ კვალად აღსდგება. დიდებული და ჩინებული სანახავია ესრედ აღორძინებული და განახლებული ერი!

ჩვენმა საუკუნემ დაგვანახვა ასეთის განახლების მაგლითი: საბერძნეთზე, იტალიაზე, უნგრეთზე, ბოლგარიაზე და თვით პრუსიაზე.—იმ პრუსიაზე რომელიც ბონაპარტემ უკანასკნელ გასაჭირში ჩააგდო და ოთხ მილიონზე დააყენა. ეხლა-კი ეს დამარცხებული და სუსტი პრუსია გერმანიის ძლიერების სათავეში სდგას და გერმანია-კი ევროპის განომდებლად ირიცხებოდა ამ ბოლოს დრომდე.

ასეთი არის რთული და ძნელად თავ-მოსაყრელი ევროპის ერთა ცხოვრება, მათი პროგრესსი და მათი ვითარება.

მაგრამ ყოველს ამაზედ მეფობს და განაგებს ნება და სურვილი ერის წარმომადგენელთა და გამგებელთა. ამათზეა დამოკიდებული, შეირყეს და გადასხვაფერდეს ძირეულად არა თუ ერთის და ორის ქვეყნის ცხოვრება და ბედი, არამედ მდგომარეობა მთელის ევროპისა...

მეველე

## ახალი ამბავი

—

⁂ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მოუწადინებია მომავალ წლიდგან შემოიღოს გამოსაცდელი ეგზამენები სამეურნეო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ მოწაფეთათვის. ასეთი ეგზამენები იქნება ყოველ წელს სხვა-და-სხვა ქალაქებში. სამეურნეო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ მოწაფეთ გამოსცდიან იმ საგნებში, რომლებსაც შეეხება ამა თუ იმ სამეურნეო საზოგადოებასთან გამართული სამეურნეო გამოფენა. სწავლა-დამთავრებული მოწაფე მოვალე იქნება ეგზამენზედ გამოიჩინოს თავისი ცოდნა, რაშია გამოსადეგი სხვა-და-სხვა შინაური საქონელი, როგორ კეთდება ყველი და ერბო, და აგრეთვე ცოდნა შინაურის საქონლის მოშენებისა და საზოგადოდ სასოფლო მეურნეობისა. ეგზამენები იმართება მისთვის, რომ თვით საზოგადოებამ განსაჯოს, რა უსწავლიათ მოწაფეთ სამეურნეო სასწავლებლებში.

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ამბობს, რომ სამეურნეო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულთ შორის, შემდეგ ძლიერ ცოტანი მისდევენ მეურნეობასა და უმრავლესი ნაწილი სულ სხვა საქმეს ჰკიდებს ხელსა.

ეს მით უფრო საკვირველია, რომ ამ ჟამად ძლიერ ბევრსა ლაპარაკობენ, მეურნეობის მცოდნე სპეციალისტები არა გვყავსო.

⁂ სახელმწიფო საბჭო სულმოკლე ხანში განიხილავს ფინანსთა სამინისტროს პროექტს, რომლის ძალითაც ყველგან საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების მაგიერ უნდა გაიმართოს ხოლმე მხოლოდ რწმუნებულთა კრება. ამ ჟამად ასეთი წესი მარტო ზოგიერთ დიდ ქალაქებშია მიღებული.

⁂ პარასკევს, 15 ოქტომბერს, $7^1/_2$ საათზე დანიშნულია მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. განსახილველია მოხსენება ი. ნ. კლინგენისა იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა დაარსდეს ცხოველი ურთიერთობა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა და მეურნეთა შორის.

⁂ ეჩმიაძინის სომეხთა აკადემიის რექტორს ეპისკოპოსს არისტაკესს თხოვნა მიუცია კათალიკოსისთვის დამითხოვეთ ჩემ თანამდებობიდგანაო.

## ფელეტონი

—

### ქართველთა შორის

დაუჯერებელი ამბავი.—„ამხანაგი“ თავად ზაქარია ჯორჯაძისა.—შედარება ორის წერილისა.—შეუფერებელნი დასკვნანი.

მკითხველი, უეჭველია, მიაქცევდა ყურადღებას იმ შემაძრწუნებელს ამბავს, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო მოკლედ მოყვანილი შესახებ თავად ზაქარია ჯორჯაძისა და მისგან დაარსებულ ღვინის ვაჭრობის ამხანაგობისა. ჩვენი მოამბე გვატყობინებდა, რომ ამ დღეებში სასამართლოს ბოქაულმა გაყიდა თოთხმეტი პაი სულით ავადმყოფის თავად ჯორჯაძისა, რომ თითო პაი ღირდა ათასი მანეთი და რომ თოთხმეტი პაი ერთად გაიყიდა სულ შვიდას ორმოც-და-თორმეტ მანეთად. თურმე თავად ჯორჯაძის თამასუქი ჰქონია ერთ-ერთ ბედნიერს მისს „ამხანაგს“, რომელსაც გამოუტანია „ისპოლნიტელნი ლისტი“ და თამასუქის გასანაღდებლად აუწერნია თოთხმეტი პაი თავის ამხანაგისა, დაუფასებია თუმანი ათშაურ-ნახევრად და ამ სახით თოთხმეტი ათასი მანეთი დარჩენია შვიდას ორმოც-და-თორმეტ მანეთად. ამ დაუჯერებელს თავგადასავალს თოთხმეტი ათასის მანეთისას ჩვენმა მოამბემ დასძინა მოკლე ისტორია ღვინის სავაჭრო ამხანაგობის დაარსებისა, მისის წარმატებისა იმ დრომდე, მანამ უბედური ჯორჯაძე მეთაურობდა ამ საქმეს, და მისს დაქვეითებისა ბოლოს დროს, როდესაც მისი სულის ჩამდგმელი თვითონ სულით ავადმყოფი შეიქმნა.

ესავე ამბავი ერთის დღის წინ დაბეჭდილი იყო გაზეთ „Кавказъ“-ში, რომელმაც სხვათა შორის შეჰნიშნა: „აქედგან შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რამდენად კარგა უნდა მიდიოდეს ამხანაგობის საქმე, როდესაც თვით მონაწილენი ამხანაგობისა თავიანთსავე პაის აფასებენ მანეთს შაურადაო“. დასასრულ გაზეთმა შემდეგის სიტყვებით დაამთავრა თავისი შენიშვნა: „ასეთი ბოლო ჰქონდა მონაწილეობას თავად ზაქარია ჯორჯაძისას იმ საქმეში, რომელსაც თითქო ბრწყინვალე მერმისი ედგა წინ და რომლის მოთავე და დამაარსებელი იყო იგიო“.

როგორა ჰფიქრობთ, მკითხველო, რა შედეგი უნდა ჰქონოდა გამომჟღავნებას ასეთის საქციელისას, ანუ როგორ ზედმოქმედებას იქონიებდა ეს გამოქვეყნება თავად ჯორჯაძის „ამხანაგზედ“? მეტყვით—სირცხვილით თავიც ვეღარ უნდა გამოეყო გარედ ასეთს ამხანაგსაო. აგრეც უნდა ყოფილიყო, თუ-კი ეხლანდელ დროში ასე ძნელი და იშვიათი სანახავი არ შექმნილიყო ის ძვირფასი სამკაული ადამიანისა, რომელსაც სირცხვილი ჰქვიან. მაგრამ მის შემდეგ, ჩემო კარგო, რაც ფულის სიხარბემ და სიყვარულმა განდევნა ადამიანის გულიდგან ყოველივე სხვა გრძნობა და დაიჭირა მათი ადგილი, ნუღა გაგიკვირდებათ, რომ ამხანაგი მტრად გარდაგექმნეთ, მეგობარი მოღალატედ, და ნუღა გაშტერდებით, რომ სირცხვილი და ნამუსი ვეღარ ჰნახოთ ვეღარც ალებ-მიცემობაში და ვეღარც ურთიერთა განწყობილებაში...

⁂

მართლაც, აი რასა სწერს გაზეთს „Кавказъ“-ს ერთი „ამხანაგთაგანი“ თავად ჯორჯაძისა:

> პაების გაყიდვის ამბავი სწორედ არის გარდმოცემული, მაგრამ დასკვნა, რომელიც გამოჰყავს გაზეთს, არ ეთანხმება სინამდვილეს. ყოველივე ამ საქმის შესახები რომ განვმარტოთ, ძლიერ შორს წავიდოდით, მაინც-კი უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა თავადმა ჯორჯაძემ, როგორც მოთავემ, შექმნა ისეთი საქმე, რომელიც მართლა უწარჩინებულესია, მაგრამ თვითონვე აურ-დაურია იგი ჯერ როგორც აღტაცებულმა კაცმა და შემდეგ თავისის ავადმყოფობით, რომელიც მას ნელ-ნელა შეეპარა ისე, რომ დაახლოვებული მეგობრებიც ვერას ატყობდნენ თითქმის ორ-წელიწად-ნახევრის განმავლობაში და რომელიც ბოლოს ყველასთვის გამოაშკარავდა. მისმა მოადგილეებმა, რომელნიც არა ჰმალავდნენ საქმის არევ-დარევას, გამოწვეულს თავად ჯორჯაძის მოქმედებით, იხმარეს ღონისძიება, რათა აეცილებინათ თავიდგან მის-მიერ დამყარებული ბოროტება, და კიდევაც მიაღწიეს თავიანთ სურვილს. ეხლა ამ ამხანაგობასა აქვს იგივ „ჩინებული სარდაფები ვაგზლის ახლო, იგივ სახელოსნოები“, იგივ გამართულობა და მოწყობილობა, ხოლო რაიცა შეეხება ღვინოებს, ეხლა უფრო უკეთესის ღირსების ღვინოები აქვს, ვიდრე წინად. ამის დასამტკიცებელი საბუთები ამხანაგობის კანტორაში აწყვია და შესდგება იმ ქებისაგან, რომლითაც იხსენიებენ ჩვენს ღვინოებს რუსეთის დიდი ვაჭრები. მაგრამ

⁂ დაიბეჭდა ქუთაისში მოძღვრებანი და ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა რუსულს ენაზედ.

⁂ აქამდე კავკასიის ოლქებში სამხედრო ექიმები ჰმსახურობდნენ. ამას წინად ეს თანამდებობა გააუქმა მთავრობამ და სამხედრო ექიმების ნაცვლად დანიშნულ იქმნენ სამოქალაქო წოდების ექიმები. გუშინ, 13 ოქტომბერს, ტფილისიდგან გაემგზავრნენ ახალგაზდა ექიმები, რომელნიც აქამდე ტფილისის მიხეილის სამკურნალოში ჰმსახურებდნენ, ლ. გოცირიძე და დ. მ. მალიუჟენკო. პირველი ამათგანი გამწესებულია ართვინის ოლქში, ხოლო მეორე—ზაქათლის ოლქში.

⁂ კავკავის გზაზე გუდაურის და კობის შუა დიდი თოვლი მოსულა.

⁂ გუშინდელს ნომერში მოხსენებული იყო ბრილიანტების მოვაჭრე ებრაელის რაშკევიჩის დაკარგვა. გუშინ პოლიცია დარწმუნდა, რომ შარკევიჩი სამშაბათს ნაშვადღევის პირველს საათზე შუაბაზარში ყოფილა და რამდენიმე მოვაჭრეთათვის უჩვენებია ბრილიანტები გასასყიდლად. ამავე დღეს ვექსილით ფული მიუღია სამოც თუმნამდე. რაშკევიჩი შუა ბაზარში ოქრო-მჭედლების ქუჩამდე უნახავთ მიმავალი. ამის ქვემოდ იგი არსად არ წასულა და იქიდგან მისი დაბრუნებაც არავის არ უნახავს. რაშკევიჩს 30,000 მან. ბრილიანტების გარდა ფულად თანა ჰქონია ორას თუმნამდე და ვექსილები. გამომძიებელი და პოლიცია ჰფიქრობს, რომ რაშკევიჩი მოუკლავთ შუაბაზარში სადმე დუქნის უკან ოქრო-მჭედლების და ფრანგების ქუჩებ შუა. ამ კაცის კვლელობის თაობაზე გუშინ ბ-ნ პოლიციმეისტრის ბრძანებისამებრ შეიპყრეს ერთი ოქრო-მჭედელი ნ—შვილი, ამასთან მუშაობს ებრაელი ფ—ნი, რომელსაც წინადღეს რაშკევიჩი ორთაჭალაში წაუყვანია საქეიფოდ. ამ საქმის გამოძიება ჩაჰბარდება გამომძიებელს ბ-ნ დრაგნევიჩს. რაშკევიჩის გვამს მტკვარში ეძებენ, რადგანაც გამომძიებელი ჰფიქრობს, რომ მოკვლის და გაძარცვის შემდეგ მკვლელებს ღამით შეეძლოთ გვამის მდინარეში გადაგდება.

⁂ ტფილის-თელავის შუა დილიჟნებით მისვლა მოსვლის წეს-რიგი იცვლება და ისეთივე წესი უნდა შემოიღონ, როგორიც კავკავის გზაზეა. თვით სადგურების იჯარადარს დაავალებენ თურმე, რომ ეტლებმა ყოველ დღე იარონ თელავსა და ტფილისს შუა. ეტლს თან კონდუქტორიც ეყოლება. ფასი ეხლანდელი დარჩება.

⁂ ამ ცოტა ხანში თელავის საზოგადო კრებულის დარბაზში საცეკვაო საღამო გაიმართა. ჩვენის უკვდავი პოეტის შ. რუსთველის ძეგლის ასაგებად. დრო მეტი შესაფერი იყო და სრული იმედიც იყო, რომ საღამოს ბევრი საზოგადოება დაესწრობოდა, მაგრამ სულ ოციოდე სული დაესწრო. მიზეზი თვით გამგენი ყოფილან, რადგან სოფლებში სრულიად არა სცოდნოდათ ეს ამბავი. ამ საღამოს წარმოდგენა მოჰყვა. წარმოადგინეს „და-ძმა“ დრამა გუნიასი. წარმოდგენამ საკმაოდ კარგად ვერ ჩაიარა.

ვაზს წრეულ კარგი მოსავალი ჰქონდა. გამოსავალთან თვით ტკბილიც კარგი თვისებისა არის. ჭურჭლის ძებნაც-კი დასჭირდათ. სეტყვას გადარჩენილი კახეთის მემამულე ღვინის მოსავალს ვერ დაემდურება, მაგრამ რა გამოვა, თუ ღვინის ფასი შარშანდელისებრ ნაკლები იქნება?

⁂ ქიზიყი: ნაკლებ ღვინის მოსავალს ეს უბედურებაც დაატყდა, რომ წელს ღვინის მსყიდველნი ძალიან ნაკლებად სჩანან. ხალხს ფული უჭირს ათას-გვარად, შოვნის სასარი არსაითა აქვს და აცლიან ხელიდამ ნასამედ ფასად იმ ღვინოს, რომელიც, უეჭველია, რამდენისამე თვის შემდეგ ერთი-სამად და ერთი-ოთხად გახდება. საპალნე 40—70 მანეთ ზევით აღარ იყიდება საუკეთესო ღვინო წინამხარისა. კარგი იქმნება, ყველგან იცოდეს ხალხმა, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში რა ფასად იყიდება ღვინოები.

## სამღვდელოების კრება

—

აგერ რამდენიმე დღეა ტფილისში კრება აქვს ქართლ-კახეთის სამღვდელოებას და რამდენიმე ფრიად ღირს-შესანიშნავი საგანი უკვე განიხილა კიდეც, სამღვდელოების კრების თავმჯდომარედ ამორჩეულია მღვდელი ცინცაძე. კრებაზედ შეუძლიანთ დაესწრნენ ხსენებულ ეპარქიის ბლაღოჩინნი და დეპუტატნი თითო კაცი ყოველ საბლაღოჩინოდგან. ამ ჟამად 60-მდე სასულიერო წოდების კაცია შეკრებილი კრებაზედ. 10 ოქტომბერს კრება სამღვდელოებისა შეუდგა საქმეების განხილვას და სხვათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წმიდა სანთლის ქარხანას, რომლის საქმეებიც ამ ბოლოს დროს დიდად აწეწილია, ამ ქარხანის სარევიზიოდ ამორჩეულ იქმნა კომისია, რომლის წევრებადაც დაინიშნენ დეკანოზი შეგიაშვილი, დეკანოზი იუნიცკი, დეკანოზი პეტრიაშვილი და მღვდელნი დავითაშვილი, გამრეკელი, გრიევცოვი და მ. ტყეშელაძე. კომისიამ უკვე განიხილა სანთლის ქარხნის საქმეები და იმ აზრს დაადგა, რომ მეტად არეულია ეს საქმე, ქარხანას ვალები აწევს, სანთლისთვის აქამდე მასალა არ უყიდნიათ, თუმცა დრო სწორედ ეხლაა და სხვ. კრებამ დაადგინა, მხედველობაში ვიქონიოთ მოხსენება კომისიისაო და ორი კაცი ამოვირჩიოთ სანთლის ქარხანის საწარმოებლადაო. ერთს მათგანს, ქარხნის ზედამხედველს, ჯამაგირად დაუნიშნეს 100 მან. წელიწადში, ხოლო მეორეს, კონტროლიორს—600 მან. ამ უკანასკნელ თანამდებობაზედ იქმნა არჩეული დეკანოზი პეტრიაშვილი.

შემდეგ, 11 ოქტომბერს, კრებამ საჭიროდ დაინახა, რომ ყოველს საბლაღოჩინოში საბლაღოჩინო საბჭო იქმნას დაწესებული, რათა ამ საბჭომ განიხილოს და გადასწყვიტოს ხოლმე მცირე-მნიშვნელოვანი საქმენი საბლაღოჩინოსანი. დაადგინეს, დაწესდეს ასეთი საბჭონი ყოველს საბლაღოჩინოში თვით ბლაღოჩინის თავმჯდომარეობით და ორის წევრის თანამშრომელობით, ისე კი, რომ ეს უკანასკნელი ორი წევრი მთელის საბლაღოჩინოს სამღვდელოებისაგან იქმნას ამორჩეული.

დიდი ლაპარაკი გამოიწვია 12 ოქტომბერს იმ გარებოებამ, რომ აწინდელ სასულიერო სემინარიის სადგომი მცირეა და სასურველია კიდევ მიემატოს შენობაო. სემინარიის ჩრდილოეთის მხარეს აკრავს მამული სამხედრო-საერო მმართველობისა, სადაც მოთავსებულია ამ მმართველობის სტამბა და ლიტოგრაფია, რადგან ეს მმართველობა სცლის ამ შენობას, კარგი იქნება, ვსთხოვოთ, ჩვენ დაგვითმოს ან მცირე ფასად, ან სრულიად უსასყიდლოდაო. კრებამ დაადგინა, რადგან ეხლა ფული არა გვაქვს, ვსთხოვოთ უსასყიდლოდ დათმობა და ამის შესახებ ვიშუამდგომლოთ საქართველოს ექსარხოსის შემწეობით მთავარ-მართებლის წინაშეო. შუამდგომლობის დასაწყებად კომისია იქმნა შედგენილი, რომლის წევრებადაც ამოირჩიეს ერთ ხმად ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი სერაფიმი, დეკანოზი პეტრიაშვილი და დეკანოზი ლამბაშიძე.

## კორესპონდენცია

(დასასრული*)

**ზებანი.** 95, რიყეთი. 25 კომლი. 10 კომლი წასულა. ძველად აქ ყოფილა ეკკლესია.

96, ნანუზაძე. 10 კომლი.

97, დანისპარული. 20 კომლი. აქ ორ სოფელს ძველად ერთი საყდარი ჰქონიათ, ნასაყდრალზე ჯამე სდგას. აქ იწყება ჭვანის ხეობა, სადაც ჩადის ჭვანის ხეობის დიდი ღელე, რომელიც მთის მეორე მხარეა. მთა ეს გადადის და შუა ხევთან უერთდება აჭარის წყალის ხეობას. ჭვანის ხეობაც ისეთივეა მშვენიერი ადგილებია, როგორც სხვა ხეობები: მოსავლიანი, ჰავით კარგი, ტყიანი. ჭვანის ბოლოს, დასავლეთით ბეთლემის ხეობის ნაპირია.

98. ტაგიძე. 10 კომლი.

99. ახალდაბა. 15 კომლი. ნასაყდრალი არის. ერთი მოლა ამ სოფელში ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლის. თვითონ ქართული წიგნების კითხვა ძრიელ უყვარს. აძას სურს, რომ „ყურანი“ ქართულს ენაზე ჰნახოს: ნეტა როგორმე მოვახერხოთ, რომ ჩვენი სჯულის წიგნების წაკითხვა ჯამეში ქართულად შეიძლებოდესო.

101, ცხემლისი. 20 კომლი.

102, საბულაშვილები. 15 კომლი. აქ ადრე ერთი ქილა შავი და თეთრი ფული უპოვნიათ. ეს ფული ოსმალოს მთავრობის დროსვე აქა-იქ დაუყიდნიათ. რამდენიმე ძველი ფული უპოვნია ბ. ვასილ ალექსანდრეს ძეს ბერიძეს: ერთი ძველი ფულცხლის ორტუნი, 1557 წ. მოჭრილი, და რამდენიმე ძველი ფული. ეს პირი ყველა ამაებს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ უპირებს შეწირვას.

103, ქანიერი. 20 კომლი.

104, წინსუარი. 3 კომლი.

105, ნადუერეთი. 30 კომლი.

106, ბრილი. 15 კომლი. ამ ორ სოფელს შუა ერთი ეკკლესიის ნანგრევი არის დარჩენილი.

107, ცეკვა. 8 კომლი. ამბობენ, რომ თამარ-მეფის დროს აქ ცეკვა სცოდნიათ, ღვინის სმა, ლხინი და ამასაც იმიტომ დარქმევია ცეკვაო.

108, ვარჯანული. 20 კომლი.

109, წყვროია. 30 კომლი. ძველად აქ ნასაყდრალი ყოფილა.

110, ჭალა. 40 კომლი. აქ ეკკლესიის ალაგას ჯამე დაუდგამთ.

111, ცენტრაძე. 10 კომლი.

112, ზემოხევი. 8 კომლი.

113, ბარათაული. 30 კომლი. აქ ძველად თავიანთი კარგი ეკკლესიაც ჰქონიათ. აქ მდგარან ბეგები ბარათაშვილები, ანუ ბარათ-ოღლები. ამათი აქ აღარავინ არის დარჩენილი სულ ოსმალში წასულან „მუჰაჯირათ“.

114, გომარდული 15 კომლი.

115, ვანი. 20 კომლი. ამ სოფლებში ნასაყდრალი არის.

116, ჩანჩხალო. 50 კომლი, ამ სოფლის ახლოს არის ძველი ეკკლესია. ეს ეკკლესია ამ ასი წლის წინეთ დაუქცევიათ და მის ალაგს ჯამე დაუდგამთ.

117, ნიგაზეული. 30 კომლი, სადგომი ხიმშია შვილებისა. აქ არის დიდი ციხე ქართველ მეფეებისაგან აშენებული. თათრობის დროს ამ ციხეში აწამებდნენ ქრისტიანებს. აქ არის დამარხული ამდულ მეგი ხიმშიაშვილი, სელიმ ფაშის ტოლი და სხვები. აქვე სცხოვრობს ერთი ხოჯა ახმედ, რომელმაც ქართული კითხვა იცის და თავის თათრულის სკოლაში ბავშვებს ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლის.

ამ სოფლებით თავდება ჭვანის ხეობა და აჭარისას უერთდება. ამ ხეობის დასაწყისში ხულოს ალმოსავლეთით, სხალტის ხეობის ბოლო სძევს და ეს ხეობა აქედგან მისდევს და უერთდება ჩონჩხალო ნიგოზეუ-

*) იხ. „ივერია“, № 219.

---

ლაპარაკი რა საჭიროა. ტფილისის მცხოვრებთ ადვილად შეუძლიანთ შეამოწმონ მაღალი ღირსება ჩვენის ღვინოებისა. ამისათვის საკმარისია მობძანდნენ და ნახონ მართლა „ჩინებული სარდაფები“, სადაც ამხანაგობა დიდის სიამოვნებით აჩვენებს ყველაფერს და ამასთანავე აუხსნის რაც საჭიროა.

**

თქვენი არ ვიცი-და, მე-კი ამ წერილმა გამახსენა მზგავსი წერილი თავ. ი. მაჩაბლისა, გაზეთ „მწყემსში“ დაბეჭდილი და ამ დღეებში განხილული თავ. ი. ჭავჭავაძის-მიერ. თუმცა ამ განხილვის შემდეგ ხსენებულს წერილს აღარ უჭირს არავითარი განმარტება, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და თანაც ეს „ამხანაგის“ წერილიც საკვირვლადა ჰგავს თავ. მაჩაბლის წერილს, ამიტომ ურიგო არ იქმნება მათი შედარება. როგორც გახსოვთ, ჩვენმა ძილში გართულმა საზოგადოებამ ათის წლის შემდეგ ძლივ-ძლიობით მოიგონა და მოჰკითხა თავ. მაჩაბელს ფული, რომელიც ათის წლის წინად გამოიღო ამავე საზოგადოებამ ბროსეს პატივსაცემლად. ბროსემ განუზომელი ღვაწლი და ამაგი დასდო გამოკვლევას ჩვენის ქვეყნის წყვდიადით მოცულ წარსულ ცხოვრებისას. ეს ამაგი და ღვაწლი დააფასა თვით ქართველმა საზოგადოებამაც-კი და განიზრახა რითიმე მოიხსენიოს უცხოელი კაცი, და ამისათვის თავის სიღარიბიდგან გამოიღო ორმოც და-ცამეტ თუმნამდე ფული, გროში-გროშობით მოგროვილი გაზეთ „დროების“ რედაქციაში განსვენებულ სერგეი მესხის დროს. როდესაც სერგეი მესხს, ხანგრძლივის შრომისა და ჯაფისაგან, ისე დაუშავდა ხელი, რომ კალმის აღებასაც ველარ ახერხებდა, ადგა და თავისი გაზეთი მიჰყიდა თავ. ი. მაჩაბელს, რომელსაც გაზეთის ფასში დაავალა, სხვათა შორის, ამ ორმოც-და ცამეტის თუმნის გადახდაც. დღეს თავ. მაჩაბელი ხსენებულ წერილში, ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოიხადოს საზოგადოების წინაშე, ცდილობს სხვა-და-სხვა ქარაგმებით ბანზე სიტყვა ააგდოს და გვარწმუნებს, რომ იგი, თავ. მაჩაბელი, როგორც ქვეყნისთვის თავდადებული კაცი, თავის ჯიბიდგან დააბრუნებს ამ ფულს როდისმე.

ამ სახით, თავ. მაჩაბელი ცალკე ჩრდილს აფენს განსვენებულ მოღვაწეს, რომელმაც თავი შესწირა ქართულ მწიგნობრობას და რომელიც პირნათლად გამოვიდა ქვეყნის წინაშე, და ცალკეც თავის-თავზედ უთითებს საზოგადოებას და თითქო ეუბნება—მე ვარ მართლა ღირსეული შვილი ქვეყნისა, რომლისთვისაც ყოველ წამს მზა ვარ მსხვერპლად დავდო თავი ჩემიო. ნაცვლად ბოდიშისა, რომელსაც მოითხოვს მართებულობა, თ-მა მაჩაბელმა ეს ამბავი გამოიყენა თავის-თავის საქებად და სხვების დასამცირებლად.

დაუკვირდით „ამხანაგის“ სიტყვებს, თუ ასეთივე აზრი არ გამოდიოდეს. განცვიფრებული გაზეთი ამბობს, რომ ღვინის სავაჭრო სახლი დააარსა აწ ავადმყოფმა ჯორჯაძემ, რომელმაც გამართა ჩინებული სარდაფები და სახელოსნოებიო, საკვირველად წარმართა ამხანაგობის საქმენი და დიდი წარმატებაც აჩვენაო, მაგრამ ამ ღვაწლის მიუხედავად ერთმა ამხანაგმა თოთხმეტი ათას მანეთად ღირებული პაები შვიდას სამოცდა თორმეტ მანეთად გააყიდვინა სასამართლოს ბოქაულსაო და ასე სამწუხაროდ გათავდა მონაწილეობა თავად ჯორჯაძისა ამ ჩინებულ საქმეშიო. მერე რა პასუხს იძლევა ამაზედ თავად ჯორჯაძის „ამხანიგი“? ბოდიშს იხდის?—დიაღ, რასაკვირველია! ჯერ ან რა უნდა მოიძებნებოდეს საბოდიშო ამისთანა საქმეში, და გინდაც მოიძებნებოდეს განა, ეხლანდელი დრო ბოდიშის დროა!.. ეხლა ყოველი მოხერხებული, მხნე და ერთგვარად გამარჯვებული კაცი თავის ხერხსა, მხნეობას და გამარჯვებას აფუძნებს მხოლოდ მასზედ, რომ ხერხიანად, მხნედ და გამარჯვებულად დაჰგმოს ამხანაგიც, მეგობარიც, მოამაგეც, ნაცნობიც და უცნობიც, ავადმყოფიც და კარგად მყოფიც, ჩირქი მოსცხოს ყველას და ყველანი ანაცვალოს თავის თავს, თავის ჯიბეს.

ასეც გამოიყენა თავ. ჯორჯაძის „ამხანაგმა“ გაზეთის განცვიფრება. გაზეთის ამბავი შეჰქმნა რეკლამად, აძაგა თავ. ჯორჯაძის მოღვაწეობა და ქება-დიდებით შეამკო ამხანაგობის საქმეები, მისი ღვინოები და სხვანი, სწორედ ისე, თითქო თავ. მაჩაბლისაგან ესწავლოს ცხოვრების ჰანგებიო!..

**

აბა კარგა ჩაუკვირდით „ამხანაგის“ სიტყვებს, რა მარგალიტებია შიგ გაფანტული. მართალია, პაები სწორედ მაგრე გავყიდეთ, მაგრამ გაზეთს ის დასკვნა არ გამოჰყავს, რომელიც ნამდვილს შეეფერებაო. მერე იცით, რა დასკვნა არ მოსწო-

ლის ხევს და ნიგოზეულ-შუა ხევს. ამ მთებზე არის შემდეგი სოფლები:

118, ჩაო. 15 კომლი. ნაეკკლესიარი აქვს; ამის ახლოს კაკლის ხევშიც სდგას. კაკლის ხევს ქვეშ სასაფლაოც ყოფილა ქრისტიანობის დროს.

119, თაგო. 12 კომლი. მეტად მშვენიერი სოფელია. მთლად ნაძვით და ხილით სავსე. თავის მოშორებით, ერთ ტყეში ეკკლესიის ნანგრევებიც არის. ამბობენ, საფლავები უნდა იყოსო. ამ ეკკლესიის ქვები ადრე სოფლელებს აქეთ-იქით უზიდნიათ. ამ სოფლის მცხოვრებსაო, ერთმა შარვაშიძემ დამარწმუნა, რომ ეხლა ახლოსაც აღარ ვეკარებით, რადგანაც ვინც ქვები წაიღო, უბედურებაც დაემართაო. ამიტომ ყველამ გამოჰყარეს თავიანთ სახლებიდამ ქვებიო. ამანვე მიამბო, რომ აფხაზეთიდგან ჩვენ აქ ქრისტიანები მოვსულვართ, მხოლოდ აქ გავთათრებულვართო.

120, მელაძე. 20 კომლი. აქ სცხოვრობენ რამდენიმე კომლი მელაძეები, ესენი ამბობენ, რომ ბევრნი ჩვენი გვარის გათათრების დროს საქართველოში გაქცეულანო. საკვირველი აქ ერთი ის არის, რომ თითქმის ყველამ იცის თავის გვარის ამბები და ყველას ამ ზღაპრულს ამბებს სიმართლედ სთვლის და სულ თამარ მეფის დროს აწერენ.

121, აბულა. 40 კომლი. აქ ძველად მდგარან აბულაძეები, გათათრების დროს რამდენიმე ახალციხისკენ გაქცეულა, ზოგი აქ დარჩენილა.

ამით თავდება ზაგნის სოფლები და ადგილები და ამას ქვემოთ დაიწყება აჭარა. აქ ბევრი პატარა სოფლები არ არის აწერილი, ბევრი ისეთი სოფლებიც არ არის მოხსენებული, რაც დროთა ვითარებით გაოხრებულა.

ყველა ამ ზემოხსენებულს სოფლებში სცხოვრობენ მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები. ყველა ამ ადგილებში ქართული ენა ისე სუფევს, როგორც ქართლში, კახეთში და იმერეთში. აქაურ ხალხისთვისაც ქართული ენა ისეთივე სამშობლო ენა არის, როგორც ჩვენთვის; სადაც გაივლით მთელს ამ მხარეში, თქვენ აქ ოსმალურს ან სხვა რამე ენაზე მოლაპარაკეს ვერავისა ჰნახავთ. სიმღერები, ტირილი, ქალების საუბარი, ბავშვების თამაში, ჩხუბი, და სხვანი—სულ ქართულია. გვარები, სოფლის სახელები, მთების, წყლების და ხევებისაც სულ ქართულია.

ეს-კი არის, რომ ყველა ამ სოფლებში არ მოიძევება ერთი რიგიანად განათლებული ქართველი მაჰმადიანი, ერთი გულ-შემატკივარი ბეგი, ერთი ექიმი, ან ფერშალი, აფთიაქი, ამუ ამათებურად—წამალხანა. დღეს ეს ხალხი უპატრონოდ არის დაშთენილი, თუმცა ერთად ერთი იმედი მხოლოდ ქართველებისა აქვთ.

ზ. ჭ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის № 200-ში დაბეჭდილია ჩემდამი რწმუნებულ მაზრის სოფელ შილდიდამ მოწერილი ამბავი. ადგილობრივი მღვდელი აცნობებს რედაქციას, რომ სოფ. შილდაში ორნაირი ავადმყოფობაა გავრცელებული: ფაღარათობა და კიდევ რაღაც უცნაური სენი—გულის ლონება ჰ პირსაქმობა. სამი კვირის განმავლობაში ფაღარათობით ორმოცი კაცი გარდაიცვალა და ექიმი და წამალი არსადა სჩანსო.

ამ ცნობის სინამდვილის გამოსარკვევად, უმორჩილესადა გთხოვთ ბ. რედაქტორო, ერთ-ერთ მახლობელ გაზეთის ნომერში დაჰბეჭდოთ შემდეგი: სოფ. შილდაში, ადგილობრივის მღვდლის წარმოდგენილი მეტრიკული აღწერილობით, 1 აგვისტოს 3437 სული ორთავე სქესისა ირიცხებოდა და როგორც სჩანს ამავე მეტრიკულის აღწერილობიდამ 1 აგვისტოდამ 30 ენკენისთვემდის ფაღარათობით ამ სოფელში 39 სული გარდაიცვალა. ამ ავადმყოფობის შესახებ 10 მკათათვეს № 1409-ით ყვარლის ნაწილის ბოქაულმა მაცნობა და იმავე დღესვე სოფელ შილდაში გავგზავნე მაზრის ექიმი ავადმყოფობის გამოსაკვლევად და შემწეობის აღმოსაჩენად. ექიმმა სოფლიდამ დაბრუნებისათანავე № 192-ით მაცნობა, რომ შილდაში ფაღარათობისაგან ავადმყოფები არიანო და თანხმად ექიმისა, 2 აგვისტოს № 202, მიღებული წამლების სიისა, შილდაში წამლები გავგზავნე., რამდენიმე ხნის შემდეგ, რომ შემეტყო ავადმყოფობა განელდა თუ არა შილდაში ექიმი კვლავ გავგზავნე. ექიმი სოფლიდან დაბრუნდა თუ არა 25 აგვისტოს № 2230 მაცნობა, რომ შილდაში ფაღარათობისაგან 40 სულია ავად, რომელთაგანაც 5 გარდაცვლილიყო. შემდეგ ყვარლის ბოქაულმა 27 ენკენისთვეს № 2230 მაცნობა, რომ შილდაში ფაღარათობის გარდა რაღაც სხვა ავადმყოფობამ იჩინა თავიო. ადამიანს ჯერ შეაციებს, შემდეგ სიცხეს აძლევს და მუცლის გლეჯა მოსდისო.

მივიღე ეს ცნობა თუ არა, იმავე დღეს შილდაში ექიმი გავგზავნე. ექიმს ავადმყოფები დაეთვალიერებინა და იმათ თვალ-ყურის სადევნელ-შემწეობისათვის ფერშალი ბუქში დაენარჩუნებინა. ჩემთან-კი 30 ენკენისთვეს № 260 ექიმმა გამოგზავნა სია წამლებისა, რომლებიც დაუყოვნებლივ იმავე დღეს გაეგზავნა ფერშალს.

თელავის მაზრის უფროსი გვარდიის პოლკოვნიკი თ. ჩოლოყაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Journal dez Debats“-ი სწერს:

ხელმწიფე იმპერატორის-მიერ მისვლა კოპენჰაგენში და საფრანგეთის სამხედრო გემის დათვალიერება ამტკიცებს, რომ კრონშტადტისა და ტულონის ვიზიტები არა მარტო თავაზიანობით იყო გამოწვეული, არამედ ორის სახელმწიფოს მტკიცე მეგობრობით. იმპერატორი მტკიცედ ადგა თავის პოლიტიკას, რადგანაც ეს პოლიტიკა საუკეთესო საშუალებად მიაჩნია ევროპის მშვიდობიანობის დასაცველად.

იმავე საგნის შესახებ გაზეთი „М. Вѣд.“-ი სწერს:

ხელმწიფე იმპერატორის მისვლა კოპენჰაგენში და საფრანგეთის სამხედრო გემის დათვალიერება სწორედ რომ გვირგვინია რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შენობისა, რომლის საძირკველიც კრონშტადტში ჩაიყარა. ეხლა მთელი ქვეყანა ნათლადა ჰხედავს, რომ ამიერიდგან რუსეთი და საფრანგეთი ხელი-ხელს გადაჰხვევენ და მხარი მხარს მისცემენ ბედსა და უბედობაში.

შემდეგ იგივე გაზეთი განაგრძობს:

საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი სწორედ რომ მშვიდობიანობის კავშირია და დიდს წინააღმდეგობას გაუწევს რკინისა და სისხლის კავშირს, რომელსაც სამთა კავშირი ეწოდება.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირი თავის ძალღონით სწორედ რომ თავმდებია მშვიდობიანობისა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რუსეთის იმპერატორი ცნობილია, როგორც მშვიდობიანობის მოყვარე კაცი და მეორეც იმიტომ, რომ არავის ნებას არ მისცემს მშვიდობიანობის დარღვევისას.

## რუსეთი

რუსეთ-ბელგიის ამხანაგობა სპარსეთში ჰმართავს სპიჩკის ქარხანას და გარდა ამისა განზრახვა აქვს იქვე გაჰმართოს ქარხნები შაქრისა და საწერ ქაღალდისა.

—

უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ იმ გარდაწყვეტილების აღსრულება, რომლის ძალითაც დამნაშავე მათრახის ცემით უნდა იყოს დასჯილი, ვალადა აქვს სოფლის პოლიციას და არა სოფლის სასამართლოსაო. ეს განმარტება გამოიწვია ზოგიერთ გუბერნიების სასოფლო სასამართლოთა კითხვამ, ჩვენ გვაწევს ზემოხსენებულ საქმის აღსრულება თუ სოფლის პოლიციასო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** არ შეიძლება აიწეროს რუსეთის ესკადრის აფიცრების მისვლა საფრანგეთის სატახტო ქალაქში.

რკინის გზის სადგურის უფროსის ქალმა კალთით ყვავილი მიართვა აველანს. აველანმა რომ ადმირალი ჟერვე დაინახა, მივიდა და გულმხურვალედ გადაეხვია.

ხალხს ველარ იმაგრებდნენ ჟანდარმები და პოლიციელნი, ყველა სცდილობდა რუსეთის აფიცრების ეტლთან მისულიყო და ხელი ჩამოერთმია მათთვის. სახლის ბანებიდგან და აივნებიდგან აფიცრებს ყვავილებს აყრიდნენ.

გასათხოვარი ქალი მარგარიტა პალიკარი ახტა ერთს ეტლზედ და რუსის აფიცერს აკოცა.

ხალხმა ტაში დაჰკრა და დაიგრიალა: „საფრანგეთი რუსეთსა ჰკოცნისო“.

—

**ინგლისი.** სალისბერიმ წარმოსთქვა იორკშირში, ინგლისი ზღვაზედ უნდა გაძლიერდესო; სხვა სახელმწიფოებიც მეტს ძალას იძენენ ზღვაზედაო. თუ ირლანდიის თვით-მმართველობა მივანიჭეთ, ინგლისის ფლოტს ირლანდიის ნაპირების დაცვაც დასჭირდება, რომ ირლანდიის ინგლისის [illegible]

გლასგოში [illegible] მინისტრმა სთქვა, რომ მთავრობა აღარ წარადგენს ბილს მომავალ საპარლამენტო სესსიაში, თუმცა ეს ბილლი მუდამ სახეში ექმნებაო.

—

**იტალია.** ადმირალ სეიმურს ტარენტოში მისვლისათანავე ეტყობოდა, რომ ნაბრძანები ჰქონდა თავდაჭერით ყოფილიყო, რათა ინგლისის ესკადრის მისვლა იტალიაში დემონსტრაციად არავინ ჩასთვალოსო. მართლაც, ტარენტოს ნავთ-სადგურში შუადღისას მივიდა და ნაპირს მხოლოდ საღამოხანს გავიდა რამდენისამე აფიცრით. ამნაირი საქციელი ეწინააღმდეგება ესკადრების უცხოეთის ნავთ-სადგურში მისვლის წესს და სწორედ ამიტომ იტალიის ადმირალები პირველნი ეწვივნენ სეიმურის ესკადრას. პირველადვე დაეტყო, რომ ინგლისის ესკადრის მისვლა იტალიაში არ ეგვანება რუსეთის ესკადრის მისვლას საფრანგეთში.

გლადსტონის გაზეთმა გამოაცხადა, ინგლისის ფლოტის ვიზიტს სხვა მნიშვნელობა არა აქვს-რა იმის გარდა, რომ დაამშვიდოს იტალია და დაარწმუნოს იტალიელნი, ხმელთაშუა ზღვაზედ განცალკევებულნი, რომ იმათ თავისუფლებას ვერავინ შეეხება.

„Morning Post“ ურჩევს იტალიას გაუფრთხილდეს თავის ფინანსებს, ცოტა ჰხარჯოს შეიარაღებაზედ და ყოველი თვისი ძალღონე ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას მოახმაროს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ლონდონში ეხლა ერთს კოშკს აშენებენ, რომელიც გაცილებით მაღალი იქმნება, ვიდრე ეიფელის კოშკი. კოშკი მზად უნდა იყოს 1894 წლის დამლევს.

**

31 ოქტომბერს უნდა გათავდეს ჩიკაგოს გამოფენა და სამის თვის შემდეგ გამოფენის კომიტეტი მოვალეა შენობებისაგან გაასუფთაოს ის ადგილი, სადაც გამოფენაა გამართული. გამოფენაზედ 150 უზარმაზარი შენობაა. ამერიკის ერთს ხურო-მოძღვარს ბერნგემს შეეკითხნენ, რა ვუყოთ ამ შენობებსაო და მან სთქვა:

გამოფენის ყველა შენობები სულ ერ-

---

ნებია «ამხანაგს“? ისა, რომ თავ. ჯორჯაძემ მთელი თავისი მხნეობა მოახმარა მაგ საქმეს, აჩვენა დიდი მოგება ამხანაგობას, გამართა ჩინებული სარდაფები, და ერთს ამხანგს, რომელსაც დიდი წილი აქვს ამ საქმეში, არ უნდა ეკადრნა და არ უნდა გაეყიდნა პაები დამფუძნებელისა, რომელიც დღეს სულით ავადმყოფია და უბედურებაშია ჩავარდნილიო. თუ ეს დასკვნა არ შეეფერება ნამდვილს, მაშ რომელი დასკვნა უნდა შეეფერებოდეს ნეტა? იქნება ასეთი დასკვნა უფრო შესაფერებელი ყოფილიყო: რაკი თავ. ჯორჯაძემ ასეთი ჩინებული საქმე დაუტოვა ამხანაგობას და რაკი თვითონ დღეს სულით ავადმყოფია, ამიტომ საქებურად მოიქცა მისი ამხანაგი, რომ ადგა და პაები გაუყიდაო!

მეორე დასკვნა გაზეთისა შემდეგია: თუ მაინცა-და-მაინც ადამიანის უმადურობა იქამდე მივიდა, რომ ამხანაგის პაები გამოიმეტა, იმას მაინც უნდა ცდილიყო მოვალე, რომ პაის ფასები არ შეემცირებინა და მანეთი შაურ-ნახევრად არ გაეყიდნაო. ეტყობა, არც ეს დასკვნა შეეფერება ნამდვილს, «ამხანაგის“ აზრით. ალბად, გაზეთს უნდა გამოეყვანა ასეთი დასკვნა: რაკი პაის პატრონი სულით ავადმყოფია და აღარა გაეგებარა, ამიტომ სწორედ დიდი შნო და ხერხი გამოიჩინა „ამხანაგმა“, დიდი უნარი ვაჭრობისა, ალებ მიცემობისა, მრეწველობისა და სხვანი, და სხვნი, რომ ას თუმნიანი პაი გამოაცალა ხელიდგან შვიდ თუმან-ნახევრად. აფერუმ ჰკუავ, გამჭრიახობავ, გაბედულობავ, შნოვ!

მესამე დასკვნა გაზეთისა: თუ-კი თვით ამხანაგი აფასებს ას თუმნიან პაის თითქმის ხუთ თუმნად, აშკარაა, რომ ამხანაგობის საქმე, ჯორჯაძის დროს სახელიანი, მომგებიანი და წამატების გზაზედ დამდგარი, ცუდად წასულა ჯორჯაძის შემდეგაო.

ჩვენ ეჭვი გვაქვს, პირველი და მეორე დასკვნა გაზეთისა მაგდენად არ აღონებს “ამხანაგს“ და მისი წერილი პასუხია მხოლოდ ამ მესამე დასკვნისა, იმიტომ რომ ის დასკვნები შეეხება ზნეობრივს მხარეს, რომელსაც ეხლანდელ დროში ჩვენი გამარჯვებულები არად დაგიდევენ, და მესამე დასკვნა-კი თითს იშვერს ჯიბისაკენ, რომელსაც ეხლანდელსავე დროში იგივე გამარჯვებულნი ძალიან და ძალიანაც დაგიდევენ. ამიტომაც გვეუბნება ბედნიერი „ამხანაგი“: „ყოველივე ამ საქმის შესახები რომ განვმარტოთ, ძრიელ შორს წავიდოდითო“, და რომ შორს წასვლა არ დაგვჭირდეს, მოკლედ გვიჭრის სიტყვას და ამბობს: ჰო, მართალია, თავადმა ჯორჯაძემ კაი საქმე გაგვიკეთა, ჩინებულად მოაწყო სარდაფები, სახელოსნოები, საუკეთესოდ მოაწყო ღვინის ვაჭრობა, მაგრამ ავადმყოფობის გამო თითონვე გააფუჭა საქმე და ეხლე ჩვენა ვართ-რაცა ვართო. თუ არა გჯერათ, მოდით და ნახეთ, რა საქებური ღვინოები გვაქვსო, როგორი სარდაფები, მოწყობილობა და სახელოსნოები გვაქვს ვაგზალთანაო.

ჯერ ერთი ეს უნდა გვახსოვდეს, რომ თვით ეგ ჩინებული სარდაფები, სახელოსნოები და გამართულობა, რომლითაც თავი მოაქვს „ამხანაგს“, გამართულია იმავ თავად ჯორჯაძის მიერ, რომელსაც ეს საკვირველი „ამხანაგი“ ცილსა სწამებს და უბათილებს უზომო მხნეობას და შრომას. მეორეც ესა, რომ თუ-კი მართლა ამხანაგობის საქმე კვლავინდებურად კარგა მიდის, თუ-კი ღვინოების ღირსებამ არ დაიწია, მაშ რა მიზეზია, რომ ამხანაგობისავე ასთუმნიან პაის თვითონ ამხანაგივე და თანაც ისეთი ამხანაგი, რომელსაც ყველაზედ მომეტებული წილი აქვს საქმის ალებმიცემობაში, აფასებს ხუთ თუმანზედ ცოტა მეტად?—მოხერხებული საქმე იქმნებოდაო—მეტყვით—და მაგ „ამხანაგს“ ალბად ეგონა, ვერავინ რას გაიგებს, მით უმეტეს სულით ავადმყოფი ჯორჯაძე, და რა გვენაღვლება ასი თუმანი ჩალის ფასად დავინარჩუნოთო და თოთხმეტი ათასი მანეთი შვიდას სამოც-და-თოთხმეტ მანეთშიო.. თუ ასეა, მაშინ, რასაკვირველია, გაზეთის დასკვნა ნამდვილს არ შეეფერება და აფერუმ, სიმართლის აღმადგენელო „ამხანაგო“ უბედურის ჯორჯაძისავ!

გაზეთი „ნორ-დარი“ გვატყობინებს, რომ ამას წინედ თავად ჯორჯაძის მეუღლეს მიუმართავს ამხანაგობისათვის და თავის წილში უხვეწნია ერთი სამოციოდე თუმანი მომეცითო. ამხანაგობას უარი უთქვამს ამაზედ მაშინ, როდესაც თოთხმეტი ათასის მანეთის პაები ჰქონია ამხანაგობას თავად ჯორჯაძისა!..

აბა, თუ ინატრებთ, მკითხველო, ამისთანა ამხანაგები ინატრეთ, მეტი ნუღა გინდათ!..

სანო.

თიანად დავწვათო; ეს ჩემი პროექტი ახირებულია, მაგრამ ამერიკელები ახირებულ საქციელს ჩვეულნივართ, ამაზედ პირავინ გვიკიჟინებს და მთელს ქვეყანასაც გავაკვირვებთ ამ საქციელითაო.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

რკინის გზის საავადმყოფოში გუშინდილით დარჩა ერთი ხოლერით ავადმყოფი.

ტფილისის გუბერნია.

სოფ. წინწყაროში, (ტფილისის მაზრა) ოქტომბრის 7-ს 3 ხოლერით ავადმყოფი იყო.

ოქტომბრის 7—დამ 11-დე კიდევ ავად გახდა ამ სოფელში 5 კაცი, გარდაიცვალა 2.

2 ოქტომბერს სოფ. წინწყაროში 4 ხოლერით ავადმყოფი დარჩა.

## გამოსადეგი ცნობანი

—

ვაშლის შენახვა საზამთროდ. გადაარჩიეთ საღი ვაშლი, შეიტანეთ ცალკე ოთახში ანუ ბეღელში, გაშალეთ ფიცარზედ, რომ ერთი-ერთმანერთზედ არ იყოს მიწყობილი, მიხურეთ კარ-ფანჯარა, შეაგროვეთ კაზის გამხმარი ფოთოლი და დასწვით, რომ ვაშლი შეიბოლოს. ოთხ-ხუთ დღის შემდეგ კიდევ უნდა დასწვათ კაზის ფოთოლი, ჩასდოთ ვაშლი ერთ რიგად ყუთში და პირის ქატო დააყაროთ, ხოლო ვაშლი ერთმანერთს არ უნდა ეხებოდეს, მერე კიდევ ვაშლი ჩააწყოთ და ზემოდგან ქატო მოაყაროთ; ასე უნდა მოიქცეთ,ვიდრე ყუთი არ აივსება. შემდეგ ყუთის თავი მაგრა დახურეთ და მშრალ გრილ ადგილას შეინახეთ.

—

ხილის გაგზავნა. ხილის გაგზავნა შორს ადგილას ადვილი არ არის, გზაში მალე ფუჭდება. ამერიკასა და ინგლისში აი როგორა ჰგზავნიან. სუფთა და საღი ვაშლი, თუ სხვა ხილი ცალ-ცალკე ქაღალდში უნდა შეახვიოთ, ქაღალდი უნდა ამოვლებული იყოს წინადვე ერთად შეზავებულ სპირტსა და სალიცილის სიმჟავეში. ხილს ჩააწყობთ ყუთში ანუ კალათში და გაგზავნით. ამრიგად გაგზავნილი ხილი არცა ფუჭდება, და არც სუნსა და გემოსა ჰკარგავს.

# დეპეშა

12 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა ბრძანება: დაარსებულ იქმნას 15 სამმართველო ქვეითი ჯარის სათადარიგო ბრიგადებისა და გამრავლებულ იქმნას შტატი სათადარიგო ბათალიონებისა ევროპაში მდებარე რუსეთსა და კავკასიაში.

13 ოქტომბერი

**პარიჟი.** ლოტრინგის დელეგატებმა დღეს მიართვეს აველანს საჩუქრები, შეკრებილი ლოტრინგიაში. მეზიერმა უთხრა აველანს, რომ ლოტრინგის დელეგატები ისეთისავე გრძნობით შეჰყურებენ რუსეთის ესკადრას, როგორითაც საფრანგეთის ხალხი. მოზიერმა სთხოვა აველანს მიღება ლოტრინგიის ხელოვნების ნაწარმოებ საჩუქრებისა. ეს საჩუქრები რუსეთის აფიცრებს მოაგონებს, რომ მათა ჰყავთ ერთგული მეგობრები 1800 ლოტრინგიის საზოგადოებაში. პრეზიდენტმა კარნომ აცნობა ადმირალს აველანს, რომ იგი, პრეზიდენტი, პარასკევს ტულონში მიდის.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | შეკრულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,64 | 7,67 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 3/4 | 153 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5°/o პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 241 3/4 |
| —მეორისა . . . . | 216 1/2 | — ,, | — ,, |
| 4°/o მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/o. . . . . | — ,, | 100 1/2 | — ,, |
| 5°/o. . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/o. | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5°/o. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5°/o ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98 1/4 | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი
## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

. . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუაღღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის „ . . 1 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.
ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კერჩში და ყველა ნავთსადგურში ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: ღამის 2 საათზედ.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

ბათუმიდგან საფოსტო და სახალხო კვირა დილით, განთიადისას.

პ ა ა ს რ კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

—


# განცხადებანი

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—112)










წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| ბაგრატ IV მისივე . . . | „ | 20 |
| ვახტანგ VI მისივე . . . | „ | 15 |
| მიტრიდატ დიდი, პონტის მეფე, მისივე . . . | „ | 10 |
| მირიან მეფე და წმ. ნინო, მისივე . . . . . | „ | 10 |
| ქართველი ქალები, მისივე . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილისა . . . | 1 | „ |
| წმ. ნინოს ცხოვრება, მისივე | „ | 40 |
| ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად, ანუ გიორგი სააკაძე, ან. ფურცელაძისა. . . . . . . | 1 | 20 |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| თამარ-მეფე, დ. კარიჭაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| გუჯრები, ალ. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა I ნაწ. სამცხე, გამოც. მ. ჯანაშვილისა . | „ | 25 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა, მისივე . . . . . . | „ | 50 |
| ძველის დება, მისივე . . | „ | 25 |
| მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა . . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს საეკლესიო ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |

## გამოსადეგი ცნობანი
### პირველი კერძო საავადმყოფო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10 1/2—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ф. პროტასევიჩი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



**ა. რ ა ლ ლ ე & კ ო მ პ.**

მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის კარის იჯარადარნი.

**ა პ ო ნ უ რ ს ა პ ო ნ**
**„მ უ ს მ ე“**

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან ამ საპნის კეთება, პრივილეგია გამოცხადებულია № 1026-ით.

ისყიდება ყველა რუსეთის ქალაქებში.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალო საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

**ტ უ რ ბ ი ნ ე ბ ი**

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.




**„ნევის კაპრიზები“**

**დუხები**—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“
**ოდეკოლონი**—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“
**საპონი**—„ნ ე ვ ი ს კ ა პ რ ი ზ ი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სა პ. & ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

**„კაპრიზ ნევის“** გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—14)




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე